ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
ტოპ ქარდის ხელშეკრულება N «Application.Number» [წელი] წლის [რიცხვი, თვე]
ტოპ ქარდის (განვადების ლიმიტის) საპროცენტო განაკვეთი
• **ტოპ ქარდის საპროცენტო განაკვეთის** ტიპი - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთ
• **ტოპ ქარდის** წლიური **საპროცენტო განაკვეთი** უნაღდო ანგარიშსწორებისას, ლიმიტის განაღდებისას, ლიმიტის გადარიცხვისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას - **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში - %, **მინიმალური გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში - %;
ტოპ ქარდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:
• **ტოპ ქარდის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - უნაღდო ანგარიშსწორებისას (უნაღდო ანგარიშსწორებაში იგულისხმება პარტნიორ ან/და არაპარტნიორ ობიექტებში განვადების ლიმიტის ათვისება) ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში - %; • **ტოპ ქარდის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების **გადახდისას მინიმალური გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში - ; • **ტოპ ქარდის** მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ისარგებლებს გადანაწილების სერვისით - , **ტოპ ქარდის** მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **მინიმალური გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ისარგებლებს გადანაწილების სერვისით - %, დათვლილია შემდეგი დაშვებით: **კლიენტმა** არაპარტნიორ ობიექტში შეიძინა/მიიღო ნივთი/მომსახურება და გაუაქტიურდა 1 თვიანი განვადება. ამასთან, **დაანგარიშების თარიღამდე კლიენტმა** ისარგებლა გადანაწილების სერვისით და **განვადების ლიმიტის** ტრანშის დაფარვის თარიღმა გადაიწია 1 თვით, აღნიშნული მომსახურებისთვის **კლიენტმა** გადაიხადა სერვისის საკომისიო 2% და სრული თანხა გადაუნაწილდა 2 თვეზე; • **ტოპ ქარდის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი **განვადების ლიმიტის** განაღდების ან/და გადარიცხვის გზით ათვისებისას **მინიმალური გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში %; • **ტოპ ქარდის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი **განვადების ლიმიტის** განაღდების ან/და გადარიცხვის გზით ათვისებისას **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდის შემთხვევაში %.
ტოპ ქარდის ფინანსური ხარჯები
ყოველთვიური შენატანის ოდენობა - **მინიმალური გადასახადი** - ლარი. **რეკომენდებული გადასახადი** მათ შორის განისაზღვრება ათვისებული თანხის (მათ შორის ათვისების პირობების), **კლიენტის** მიერ განხორციელებული გადახდების/შეტანილი თანხების (მათ შორის გადახდილი **რეკომენდებული/მინიმალური გადასახადების** მოცულობების), **ტოპ ქარდზე** დარიცხული გადასახდელების ან/და დაფარვის ვადების შესაბამისად. შენატანები შეიცვლება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, **განვადების ლიმიტის, საპროცენტო განაკვეთის** ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.
თანხის **ბანკის** ბანკომატში განაღდების, გადარიცხვის/**ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციის** საკომისიო - განაღდებული/გადარიცხული თანხის 3%, არანაკლებ 6 (ექვსი) ლარისა.
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

ბანკი/________________/ კლიენტი/________________/

- **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტი** - ლარი;
- **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა **ბანკის** ბანკომატიდან თანხის ათვისების/ლიმიტის გადარიცხვის შემთხვევაში **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდისას - ლარი;
- **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა **ბანკის** ბანკომატიდან თანხის ათვისების/ლიმიტის გადარიცხვის შემთხვევაში **მინიმალური გადასახად(ებ)ის** გადახდისას - ლარი;
- **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში თანხის ათვისების შემთხვევაში **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდისას - ლარი;
- **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში თანხის ათვისების შემთხვევაში **მინიმალური გადასახად(ებ)ის** გადახდისას - ლარი;
- **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტის** ვადა - ;
- **ტოპ ქარდის ხელშეკრულების** მოქმედების ვადა - , მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული **კლიენტის** ვალდებულებები;
- **ტოპ ქარდის** საშეღავათო პერიოდში დაფარვის რიგითობა: **კრედიტზე** საშეღავათო პერიოდის განმავლობაში **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტის** ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ხარჯები, სადაზღვევო პრემია, **პირგასამტეხლოები,** საკომისიო თანხები, შემდეგ **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს **კრედიტის თანხა**;
- **განვადების ლიმიტის** ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო - 0 %;
- **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტის** გადახარჯვის პირგასამტეხლო - 0 %.

- ვადაგადაცილების **პირგასამტეხლო** - ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (როგორც სრულ ასევე არასრულ დღეზე) ფიქსირებული 10 ლარი ყოველი ახალი ვადაგადაცილებისას და ვადაგადაცილებული თანხის 0.5% (თუმცა არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ისა) ყოველ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ამასთან, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო;
- **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილების გარემოებები: **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე პირობის, მათ შორის დამატებითი პირობის დარღვევის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს **საპროცენტო განაკვეთი** არაუმეტეს 4 (ოთხი) პროცენტული პუნქტით .
- **ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება: კლიენტს** უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულების 3[1] მუხლის და მისი ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებების შესახებ, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში ცვლილებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ ცვლილება: - ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან - არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით:- ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა – http://www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

ბანკი/_____/ კლიენტი/_____/

ტოპ ქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება N

(შემდგომში - **ტოპ ქარდის ხელშეკრულება**)

ქ. თარიღი:

1. წინამდებარე შეთანხმების (შემდგომში - **შეთანხმება**) მხარეებს (შემდგომში - **მხარე/მხარეები**) წარმოადგენენ:

1.1.	ბანკი:
1.1.1.	საფირმო სახელწოდება: სს "ლიბერთი ბანკი"
•	იურიდიული მისამართი:
•	საიდენტიფიკაციო კოდი:
1.1.2.	წარმომადგენელი:
•	წარმომადგენლის თანამდებობა:

1.2. კლიენტი

1.2.1.	სახელწოდება/სახელი და გვარი:
•	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:
•	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:
1.2.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):
•	პირადი ნომერი:
•	წარმომადგენლის თანამდებობა:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულების** საგანს წარმოადგენს **ტოპქარდის განვადების საკრედიტო ბარათით** (შემდგომში „**განვადების ბარათი**" ან „**საკრედიტო ბარათი**" ან „**ტოპ ქარდის ბარათი**" ან „**ტოპ ქარდი**") მომსახურება, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** წინამდებარე **ხელშეკრულების** და მისი დანართების შესაბამისად კლიენტის **განვადების ბარათის ანგარიშზე განვადების ლიმიტის** დაშვებას, **განვადების ლიმიტით** სარგებლობის წესების განსაზღვრას და **კლიენტის** მიერ აღნიშნული **განვადების ბარათით** სარგებლობისას ათვისებული კრედიტის თანხის, მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის, საკომისიო(ებ)ის და სხვა ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების გადახდის წესების განსაზღვრას.

2.2. წინამდებარე **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია (და არა ვალდებული) **კლიენტის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტი**, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, გადაიხადოს **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3. ტოპ ქარდის/განვადების საკრედიტო ლიმიტის ძირითადი პირობები.

3.1. **განვადების ლიმიტის** მთლიანი თანხა - ლარი.
3.2. **ტოპ ქარდის ბარათის მიზნობრიობა:** პირადი მოხმარებისთვის
3.3. **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა **ბანკის** ბანკომატიდან თანხის ათვისების/ლიმიტის გადარიცხვის შემთხვევაში **რეკომენდებული გადასახადის** გადახდისას - ლარი.
3.4. **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა **ბანკის** ბანკომატიდან თანხის ათვისების/ ლიმიტის გადარიცხვის შემთხვევაში **მინიმალური გადასახადის** გადახდისას - ლარი.
3.5. **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში თანხის ათვისების შემთხვევაში **რეკომენდებული გადასახადის** გადახდისას - ლარი.
3.6. **კლიენტის** მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო და მომსახურების ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში **მინიმალური გადასახადის** გადახდისას - ლარი.
3.7. **განვადების ლიმიტის** მოქმედების ვადა - «End date[#Date|dd.MM.yyyy#]» წ. **განვადების ლიმიტის** ვადის ამოწურვისას, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, თავისი გადაწყვეტილებით, არაერთჯერადად, გაზარდოს **განვადების ლიმიტის** მოქმედების ვადა, მაგრამ ყოველ ჯერზე, არაუმეტეს დამატებით 48 (ორმოცდარვა) თვის ფარგლებში თუ **განვადების ლიმიტის** ვადის ამოწურვისას ან/და **განვადების ლიმიტის** ვადის გაგრძელების შესახებ **ბანკის** მიერ უფლების რეალიზების მომენტისთვის სრულად იქნება დაფარული (განულებული) ათვისებული **განვადების ლიმიტი**, დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** და **ტოპ ქარდიდან** გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები.

ᲪᲘᲖᲔᲠᲗᲘ
ბანკი ყველგან და ყველასთვის

3.8. **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულების** მოქმედების ვადა - მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ვალდებულებები.
3.9. **ტოპქარდის ბარათის განვადების ლიმიტის** ათვისების წესი: **განვადების ლიმიტი** დაიშვება **ანგარიშზე** *[მიეთითოს ანგარიშის ნომერი]* **კრედიტის** ათვისება **ტოპქარდის განვადების ლიმიტის** ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს **ტოპქარდის განვადების ლიმიტის** მოქმედების ვადის განმავლობაში, მათ შორის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია **კლიენტის** მიერ **ტოპქარდის განვადების ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული და **განვადების ლიმიტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე დაფარული **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტის** თანხის ხელახალი ათვისება.
3.10. **ტოპქარდის ბარათის განვადების ლიმიტის** დაფარვის წესი: ათვისებული **განვადების ლიმიტის** დაფარვა **კლიენტს** შეუძლია **მინიმალური** ან/და **რეკომენდებული გადასახადების** გადახდის გზით. ყოველი თვის შესაბამისი **დაანგარიშების თარიღის** მეორე საბანკო დღეს, **კლიენტს** მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით ეცნობება ინფორმაცია **მინიმალური** ან/და **რეკომენდებული გადასახადის** შესახებ. ამასთან, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მისგან დამოუკიდებელი (მათ შორის ტექნიკური) მიზეზით შეტყობინების მიუღებლობაზე და **კლიენტი** ვალდებულია, **გადახდის თარიღისთვის** თავად მიმართოს **ბანკს** გადასახდელი თანხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. • **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **რეკომენდებული გადასახადი** წარმოადგენს ყოველთვიურ გადასახადს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს და თავიდან დაანგარიშდეს ყოველ ცალკეულ დაანგარიშების თარიღში სხვადასხვა გარემოებების/პირობების (მათ შორის **კლიენტის** მიერ დაანგარიშების თარიღისთვის განხორციელებული შენატანების/გადახდების, **პარტნიორ ობიექტებთან** შეთანხმებული პირობების, **ბანკის** მიერ **არაპარტნიორ ობიექტებში განვადების ლიმიტის** გამოყენებასთან დაკავშირებით განსაზღვრული განვადების პირობების, **განვადების ლიმიტის** განაღდებისთვის/გადარიცხვისთვის ან/და **განვადების ლიმიტით** გადასახდელების დაფარვისთვის გათვალისწინებული პირობების, **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის, **ბანკის** შიდა პოლიტიკა/პროცედურების) გათვალისწინებით. • **მინიმალური გადასახადი** წარმოადგენს **ბანკის** მიერ დამტკიცებული/გაცემული **განვადების ლიმიტის** მოცულობის მიხედვით განსაზღვრულ (დაანგარიშებულ) ყოველთვიურად გადასახდელ თანხას, რომლის მოცულობა არ იცვლება (გარდა ლიმიტის გაზრდის/შემცირების ან/და ფინანსური ხარჯების (მათ შორის **საპროცენტო განაკვეთის**) ცვლილების შემთხვევებისა) ყოველი კონკრეტული **დაანგარიშების თარიღისთვის**, თუ კი **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს და სავალდებულოდ მოიცავს **განვადების ლიმიტის** ძირითადი თანხისა და დარიცხული **პროცენტის** ჯამს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ **მინიმალური გადასახადის** ოდენობა ყოველი **დაანგარიშების თარიღისთვის** შეიძლება არ იღებდეს განსხვავებულ მნიშვნელობებს, **მინიმალური გადასახადის** მოცულობის ფარგლებში დასაფარი **კრედიტის** ძირითადი თანხის ან/და **საპროცენტო სარგებლის** პროცენტული გადანაწილება (გადახდილი თანხიდან **კრედიტის** ძირითადი თანხის ან/და **პროცენტის** დასაფარად მისამართი თანხის ოდენობა) ექვემდებარე **ბანკის** მიერ ცვლილებას **კლიენტის** მიერ ათვისებული თანხის ოდენობის, დაფარვის ვადების, **კლიენტის** მიერ განხორციელებული შენატანების გათვალისწინებით ან/და **ფინანსური ხარჯების** ცვლილების შესაბამისად. • იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** სურს **მინიმალური გადასახადის** ან/და **რეკომენდებული გადასახახადის** გადახდა, **კლიენტი** ვალდებულია, შესაბამისი თანხა **გადახდის პერიოდში** განთავსებული ჰქონდეს **განვადების ლიმიტის** ანგარიშზე, საიდანაც თანხის ჩამოწერას და არსებული გადასახდელის დაფარვას **ბანკი** უზრუნველყოფს, შესაბამისი თვის 15 რიცხვში, დღის ბოლოს (24 საათის ამოწურვის შემდგომ). აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს **ბანკის** უფლებას ისარგებლოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **პირობებით**) უაქცეპტო ჩამოწერასთან დაკავშირებული **ბანკის** უფლებებით, მათ შორის: 1. **ბანკი** უფლებამოსილია **ტოპ ქარდის** ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას პროცენტი, ისევე როგორც **ტოპ ქარდზე** რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი **დაანგარიშების თარიღის** შემდგომ ნებისმიერ დროს; 2. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებაზე **ტოპ ქარდის** გადახდის დღეს ან/და **დავალიანების** წარმოშობის მომენტში ან/და შემდგომ ნებისმიერ დროს მის (**კლიენტის**) მიერ **ბანკში** გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან, მისი (**კლიენტის**) დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები **ხელშეკრულების** შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივად დასაფარავად. თუ **დავალიანების** თანხა და ანგარიშზე რიცხული ან **განვადების ლიმიტის** თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის/დავალიანების დაფარვის თარიღისათვის **ბანკში** დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან. • **განვადების ლიმიტის** პირველადი ათვისების შემთხვევაში (მათ შორის, ლიმიტის სრულად განულების და ხელახლა ათვისების შემთხვევაში), ათვისებიდან **გადახდის თარიღამდე** პერიოდში **ბანკი** უფლებამოსილია (და არა ვალდებული) არ განახორციელოს **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა ტოპქარდის ბარათზე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში პირველი **მინიმალური გადასახადი** სრულად მიემართება ძირითადი თანხის დასაფარად,

ხოლო **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **გადახდის პერიოდის** შესაბამის თვეში 16 რიცხვიდან, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული. აღნიშნული წესი მათ შორის მოქმედებს იმ მინიმალური გადასახადის დაფარვისას, რომლის გადახდაც ხორციელდება უშუალოდ წინა თვე(ებ)ში **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდის შემდგომ პირველად. •ამასთან, **კლიენტი** ითვალისწინებს, რომ **ტოპ ქარდის ანგარიშზე** ჩარიცხული თანხა, რომელიც აღემატება დამტკიცებული **განვადების ლიმიტის** მოცულობას **განვადების ლიმიტის ანგარიშზე** აისახება დადებითი ნაშთის სახით, რომლის გადარიცხვა, განაღდება ან/და გახარჯვა შესაძლებელია დადგენილი საკომისიოს გათვალისწინებით. **ტოპ ქარდის ანგარიშზე** რიცხული დადებითი ნაშთის გახარჯვის ტარიფები განსაზღვრულია **პირობების** დანართ #2-ში. •გადახდის თარიღისთვის **კლიენტის** მიერ **მინიმალური** ან **რეკომენდებული გადასახადის** გადაუხდელობა წარმოადგენს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რაც **ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** ვალდებულებების (ხელშეკრულების პირობების) დარღვევის შემთხვევაში **ბანკის** მიერ გამოსაყენებელი უფლებებით, მათ შორის და არა მხოლოდ **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს/გააუქმოს/დაბლოკოს/შეაჩეროს **ტოპ ქარდის ბარათის** ან/და **განვადების ლიმიტის** მოქმედება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაარიცხოს **კლიენტს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით** განსაზღვრული ოდენობით და წესით და მოსთხოვოს **კლიენტს დავალიანების** დაუყონებლივ დაფარვა; •თუ ათვისებული **განვადების ლიმიტის** გადახდას **კლიენტი** უზრუნველყოფს **რეკომენდებული გადასახადების** გადახდის გზით **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **კლიენტს** არ დაერიცხება განვადების **საპროცენტო სარგებელი**. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **განვადების ლიმიტით** სარგებლობის განმავლობაში დროის რომელიმე მონაკვეთში **კლიენტი** ისარგებლებს **მინიმალური გადასახადით** დაფარვის ოფციით ან/და არ შეასრულებს მიმდინარე შენატანების **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად სრულად და ჯეროვნად დაფარვის ვალდებულებას, **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **განვადების ლიმიტზე** დაიწყება **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა და ყოველი შემდგომი **რეკომენდებული გადასახადის** გადახდისას ის (**კლიენტი**) ვალდებული იქნება განახორციელოს შესაბამისი პერიოდ(ებ)ისთვის დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** დაფარვა იქამდე, სანამ **ბანკის** მიერ განსაზღვრული **რეკომენდებული გადასახადების** თანმიმდევრული/მიყოლებითი გადახდის გზით **კლიენტის** მიერ განხორციელებული გადახდები კვლავ არ მიაღწევს უპროცენტო დაფარვის ოფციით სარგებლობის ნიშნულს. •**კლიენტისთვის** მათ შორის ცნობილია და ეთანხმება, რომ **კლიენტი** ვალდებული იქნება ყოველთვიურ შენატანებთან (**მინიმალური** ან/და **რეკომენდებული** გადასასახადებთან) ერთად ასეთი არსებობის შემთხვევაში დაფაროს **ტოპ ქარდზე** დარიცხული გადასახდელები (წინა **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში განვადების ლიმიტის** ათვისებულ ოდენობაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხული გადაუხდელი პროცენტი, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო ან/და სხვა) ასეთი არსებობის შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით **ბანკისთვის** განსაზღვრული უფლებებით, მათ შორის დაარიცხოს **კლიენტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პირგასამტეხლო** ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე დათქმა არ ზღუდავს **ბანკის** უფლებას მოსთხოვოს **კლიენტს** წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული გადასახდელების დაფარვა შენატანის გადახდის თარიღის დადგომამდეც.
3.11. **კრედიტის ტიპი - საბანკო კრედიტი - განვადების ლიმიტი**
3.12. წლიური **საპროცენტო განაკვეთი** უნაღდო ანგარიშსწორებისას, ლიმიტის განაღდებისას, ლიმიტის გადარიცხვისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას - **მინიმალური გადასახადის** გადახდის შემთხვევაში - %
3.13. წლიური **საპროცენტო განაკვეთი** უნაღდო ანგარიშსწორებისას, ლიმიტის განაღდებისას, ლიმიტის გადარიცხვისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას - **რეკომენდებული გადასახადის** გადახდის შემთხვევაში - %
3.14. **საპროცენტო განაკვეთის** ტიპი - ფიქსირებული
3.15. **განვადების ლიმიტის** ლიმიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **მინიმალური გადასახადის** გადახდის შემთხვევაში - %
3.16. **განვადების ლიმიტის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლიმიტის განაღდების ან/და გადარიცხვის გზით ათვისებისას **მინიმალური გადასახადის** გადახდის შემთხვევაში - %
3.17. **განვადების ლიმიტის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **რეკომდენდებული გადასახადის** გადახდის შემთხვევაში - %
3.18. **განვადების ლიმიტის** ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლიმიტის განაღდების ან/და გადარიცხვის გზით ათვისებისას **რეკომენდებული გადასახადის** გადახდის შემთხვევაში - %
3.19. **განვადების საკრედიტო ლიმიტის** მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **რეკომენდებული გადასახადის** გადახდის

შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ისარგებლებს გადანაწილების სერვისით - %; **განვადების ლიმიტის** მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნაღდო ანგარიშსწორებისას ან/და ლიმიტით გადასახდელების გადახდისას **მინიმალური გადასახადის** გადახდის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ისარგებლებს გადანაწილების სერვისით- %
***დათვლილია შემდეგი დაშვებით: **კლიენტმა არაპარტნიორ ობიექტში** შეიძინა/მიიღო ნივთი/მომსახურება და გაუაქტიურდა 1 თვიანი განვადება. ამასთან, **დაანგარიშების თარიღამდე კლიენტმა** ისარგებლა გადანაწილების სერვისით და განვადების ლიმიტის ტრანშის დაფარვის თარიღმა გადაიწია 1 თვით, აღნიშნული მომსახურებისთვის **კლიენტმა** გადაიხადა სერვისის საკომისიო 2% და სრული თანხა გადაუნაწილდა 2 თვეზე.

3.20. **დაანგარიშების თარიღი** - ყოველი თვის პირველი რიცხვი

3.21. **გადახდის პერიოდი** - ყოველი თვის 2 (ორი) -დან 15 (თხუთმეტი) რიცხვის ჩათვლით

3.22. **განვადების ლიმიტის** ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო - 0%

3.23. **პირგასამტეხლო** ათვისებული თანხ(ებ)ის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის ვადის გადაცილებისათვის - ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (როგორც სრულ ასევე არასრულ დღეზე) ფიქსირებული 10 ლარი ყოველი ახალი ვადაგადაცილებისას და ვადაგადაცილებული თანხის 0.5% (თუმცა არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ისა) ყოველ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ამასთან, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.

3.24. ფინანსური ხარჯები:

3.25. ყოველთვიური შენატანის ოდენობა - **მინიმალური გადასახადი** - ლარი. **რეკომენდებული გადასახადი** მათ შორის განისაზღვრება ათვისებული თანხის (მათ შორის ათვისების პირობების), **კლიენტის** მიერ განხორციელებული გადახდების/შეტანილი თანხების (მათ შორის გადახდილი **რეკომენდირებული/მინიმალური** გადასახადის მოცულობების), **ტოპქარდის ბარათზე** დარიცხული გადასახდელების ან/და დაფარვის ვადების შესაბამისად. შენატანები შეიძლება შეიცვალოს ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.

3.26. **განვადების ლიმიტის** ბანკომატში განაღდების, **განვადების ლიმიტის** გადარიცხვის და **განვადების ლიმიტის** ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის/განაღდების საკომისიო: განაღდებული/გადარიცხული თანხის 3%, არანაკლებ 6 (ექვსი) ლარისა.

3.27. **ტოპ ქარდის ბარათით** სარგებლობის სპეციფიკური პირობები:
(ა) **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გააუქმოს **ტოპქარდის ბარათი**/მასზე დაშვებული **განვადების ლიმიტი,** შეამციროს **განვადების ლიმიტი**, მოითხოვოს **კლიენტის** მიერ **განვადების ლიმიტიდან** ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ **პროცენტებთან, პირგასამტეხლოებთან** და საკომისიოებთან ერთად ან/და სრულად შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება. მხარეები** თანხმდებიან, რომ ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებ(ებ)ის რეალიზებისთვის საკმარისია **ბანკის** მიერ ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი ერთ-ერთი გარემოების არსებობის შემთხვევაში: ა) **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს;** ან ბ) გაუარესდება **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი (**კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე; ან გ) **ბანკის** შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან დ) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია; ან ე) აღნიშნული ქმედების განხორციელება აუცილებელია **ბანკის** შიდა პოლიტიკით ან/და პროცესებით/პროცედურებით ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფისთვის. ამასთან, **განვადების ლიმიტის** ან/და მის ფარგლებში განსახორციელებელი **ტრანზაქციების** განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვის/დაბლოკვის/გაუქმების/შეჩერების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება **განვადების ლიმიტის** ან/და მის ფარგლებში განსახორციელებელი **ოპერაციების** აღდგენის/ლიმიტის კვლავ გაზრდის/შეზღუდვის მოხსნის თაობაზე, ასევე **განვადების ლიმიტის** პირობები, მათ შორის განაღდების/გადარიცხვის ან/და გადასახდელების გადახდის შესრულების ოფციები განსაზღვროს **ხელშეკრულების** ბოლო რედაქციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
(ბ) თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს, **განვადების ლიმიტის** მოქმედება ავტომატურად შეჩერდება (გულისხმობს, რომ **კლიენტი** ვერ შეძლებს **განვადების ლიმიტის** ათვისებას) წინამდებარე **ტოპქარდის ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერი ფულადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო **განვადების ლიმიტი** აღდგება თუ სრულად დაიფარება ფულადი ვალდებულებები, დარღვევა გამოსწორებული იქნება მისი (დარღვევის) წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში და არ იარსებებს **კლიენტის** გადახდისუნარიანობის დამაბრკოლებელი რომელიმე გარემება.
(გ) **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ტოპქარდის ბარათის** ვადამდე გაუქმება, მხოლოდ იმ შემთხვევში თუ სრულად დაფარავს (მათ შორის ვადამდე) ათვისებულ **განვადების ლიმიტსა** და **ხელშეკრულების** ფარგლებში

არსებულ ყველა გადასახდელს/ვალდებულებას (მათ შორის და არა მხოლოდ დარიცხული **საპროცენტო სარგებელი**, **პირგასამტეხლო** და ნებისმიერი სხვა გადასახდელი) და არ ექნება **ბანკის** წინაშე წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე შესასრულებელი ვალდებულებები.

(დ) იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ განახორციელებს **რეკომენდებული გადასახადების** დაფარვას **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **განვადების ლიმიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა განხორციელდება ყოველდღიურად, ყოველი შესაბამისი **დაანგარიშების თარიღისთვის** განსაზღვრული **რეკომენდებული გადასახადის** თანხასა და **გადახდის პერიოდში** ფაქტობრივად გადახდილ თანხას შორის სხვაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იარსებებს ვადაგადაცილება **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა მოხდება **მინიმალური გადასახადის** შესაბამის თანხაზე, ტრანშით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. **მინიმალური გადასახადიდან** პირველ რიგში სრულად იფარება მიმდინარე დარიცხული პროცენტი, ხოლო შემდგომ დარჩენილი თანხა მიემართება ძირითადი თანხის დასაფარად.

(ე) **ბანკის** მიერ დამტკიცებული **განვადების ლიმიტის** ფარგლებში, დადგენილი ვადის და საკომისიოს გათვალისწინებით, **კლიენტი** უფლებამოსილია, გაანაღდოს, გადარიცხოს **განვადების ლიმიტი**, უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადაიხადოს გადასახდელები ან/და განახორციელოს პროდუქტის/მომსახურების შესყიდვა როგორც **პარტნიორ**, ისე **არაპარტნიორ ობიექტთა** ქსელში. ამასთან, **განვადების ლიმიტით** შესასრულებელი ნებადართული **ტრანზაქციების/ოპერაციების** ჩამონათვალს **ბანკი** განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ყოველგვარი დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე ნებისმიერ დროს შეზღუდოს, გააუქმოს ან/და გააფართოოს დასაშვებ ოპერაციათა წრე.

(ვ) **ბანკი** უფლებამოსილია **არაპარტნიორ ობიექტებში** ლიმიტით სარგებლობისას, იმის გათვალისწინებით თუ დროის რომელ მონაკვეთში ხორციელდება ანგარიშსწორება, **კლიენტს** მიანიჭოს 15-დან 45 დღემდე უპროცენტო განვადებით სარგებლობის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ სრულად და ჯეროვნად იქნება დაკმაყოფილებული **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობები.

(ზ) **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან იმ შემთხვევებში თუ ამას **ბანკის პარტნიორი ობიექტ(ებ)ის** პოლიტიკა-პროცედურები ითვალისწინებენ, შესაძლებელია დასაშვები იყოს **ტოპ ქარდის ბარათით** შეძენილი პროდუქციის/მომსახურების უკან დაბრუნება ან ჩანაცვლება და აღნიშნული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როცა განხორციელდება მომსახურების/პროდუქციის დაბრუნება/ჩანაცვლება, **კლიენტი** ითვალისწინებს, თანახმაა და ადასტურებს, რომ: (ა) **ტოპქარდის ბარათით** შეძენილი პროდუქციის/მომსახურების ღირებულებას **ბანკის პარტნიორი ობიექტი** სრულად ჩაურიცხავს **ბანკს**, **ბანკსა** და **პარტნიორ ობიექტს** შორის წინასწარ ან შემდგომ შეთანხმებულ ანგარიშზე. (ბ) **პარტნიორი ობიექტის** მიერ **ბანკისათვის** ჩარიცხულ თანხას (თანხა, რომელიც გადახდილ იქნა დაბრუნებული/ჩანაცვლებული პროდუქციისთვის/მომსახურებისთვის), **ბანკი** სრულად მიმართავს **კლიენტის ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად. იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორი ობიექტის** მიერ დაბრუნებული თანხა აღემატება **დავალიანების** თანხას, თანხის შესაბამისი ნაწილი მიემართება **კლიენტის** არსებული **დავალიანების** დასაფარად, ხოლო დარჩენილი თანხა აისახება **კლიენტის ტოპქარდის ბარათის** ანგარიშზე დადებითი ნაშთის სახით იმ შემთხვევაში თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით არ შეფერხდება ან/და შეუძლებელი არ იქნება დადებითი ნაშთის ანგარიშზე ასახვა.

(თ) ნივთის/მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი საკითხი რეგულირდება შესაბამის სავაჭრო და მომსახურების ობიექტსა (იგულისხმება როგორც **პარტნიორი,** ასევე **არაპარტნიორი ობიექტი**) და **კლიენტს** შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. შესაბამისად **კლიენტი** ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შესაბამისი ობიექტების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, მათ შორის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მათ შორის და არა მხოლოდ დაბრუნების ვადების ან/და პირობების განსაზღვრაზე). ამასთან, **ბანკი** არ შეიძლება იყოს პასუხიმგებელი ნებისმიერ ისეთ ქმედებაზე (მათ შორის **ბანკის** მიერ განხორციელებულ ქმედებაზე), რომელიც გამოწვეული იქნება თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით **ბანკისთვის** არასწორი ინფორმაციის მიწოდებასთან.

3.28. **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა (მათ შორის **კრედიტზე** საშეღავათო პერიოდში **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში) შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ **განვადების ლიმიტის** გადახარჯული თანხა, **განვადების ლიმიტის** გადახარჯულ თანხაზე დაკისრებული **პირგასამტეხლო**, **პირგასამტეხლო**, **საკომისიო** თანხები, შემდეგ **საპროცენტო სარგებელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს **განვადების ლიმიტიდან** ათვისებული თანხა. ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

3.29. **ბანკის** წინაშე **კლიენტის** ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის ანგარიშზე** განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ

შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვის გზით, ასევე **ბანკის** ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით **კლიენტი** არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო (განვადების) ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განსაზღვროს **კლიენტის** ფულად ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

3.30. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **კლიენტის** ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით, ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტი** და მასთან დაკავშირებული გადასახდელები) **ბანკმა** დააკავოს **კრედიტის** (**განვადების ლიმიტის** ან/და **ტოპქარდის ბარათის**) **თანხიდან** ან/და ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან,** მათ შორის სადეპოზიტო **ანგარიშიდან** (თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კრედიტის თანხა** სრულად ათვისებულია **კლიენტის** მიერ, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელ(ებ)ი დაფაროს **კრედიტის** მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან **ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის** დაშვების ხარჯზე.

3.31. **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, **კრედიტის** სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/და განთავსების შემთხვევაში არ მოხდება **კრედიტის** წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** ინიციატივით **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

3.32. თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ნებისმიერი ვალდებულების ვადაგადაცილების ან/და შესრულებლობის შემთხვევაში, მიუხედავად **ხელშეკრულების** მოქმედებისა ან შეწყვეტისა (როგორც ვადამდე, ისე ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო), **საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა **სრულ დავალიანებაზე** გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად და **კლიენტი** ვალდებული იქნება სხვა გადასახდელებთან ერთად **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით აღსრულების წესით სრულად დაფარვის/შესრულების დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომ **სრული დავალიანების** თანხაზე დარიცხული **პირგასამტეხლოს** და **საპროცენტო სარგებლის** თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.33. გადახდევინების მიქცევისას **კლიენტის** რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

3.34. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - **ბიურო**) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.35. **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

3.36. **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება** ან/და მოთხოვოს **კლიენტს კრედიტის თანხის** (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან **დაკავშირებული გადასახდელების**, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა **კანონმდებლობით,** წინამდებარე **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულებით** ან/და **პირობებით** გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.37. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ: (ა) თუ **კლიენტის** შემოსავლები **კრედიტის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში კლიენტს გააჩნია სავალუტო რისკები, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა **კრედიტის** შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკმა** შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის **ბანკმა** მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა (ბ.ა) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის ნებმისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (ბ.ბ) **კლიენტის**, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (ბ.გ) **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა. (ბ.დ) მოითხოვოს **კლიენტის** ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი).

3.38. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები. **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტის** ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ **ხელშეკრულების** ცვლილება: (ა) განპირობებულია **ხელშეკრულებით** წინასწარ განსაზღვრული და **კლიენტის** ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან/და (ბ) ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, რაზედაც **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკი** თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან/და (გ) არ იწვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან/და (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

3.39. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას მიაწოდოს **ხელშეკრულების** პირობების ცვლილებების, ასევე სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ ინფორმაცია **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეებს (მათ შორის **უზრუნველყოფის საშუალების** მესაკუთრეებს, თავდებ პირებს, გარანტორებს და სხვა), ასევე **ხელშეკრულების** სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თანამსესხებლებს).

3.40. წინამდებარე ხელშეკრულება არ არის დადებული საკრედიტო შუამავლის მეშვეობით;

<u>3¹ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება</u>. **კანონმდებლობის** შესაბამისად სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლება გათვალისწინებულია ხელშეკრულების თავსართით, **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკის** ფილიალში (მათ შორის სათაო შენობაში, მდებარე თბილისში, ჭავჭავაძის გამზ 74-ში), სერვის ცენტრში მისვლის გზით, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, წერილობითი და ხელმოწერილი განცხადებით, უარი თქვას სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე გაფორმებიდან (ან მიღებიდან, თუ ხელშეკრულებას მომხმარებელი გაფორმების შემდეგ მიიღებს) 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს უარის თქმის მოთხოვნა, თუ იგი არ ხორციელდება **კანონმდებლობის**, **ხელშეკრულების**, **ბანკის** შიდა პოლიტიკა-პროცედურის შესაბამისად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ **კლიენტმა** მატერიალურად ხელმოწერილ განცხადებაში არ მიუთითა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: **კლიენტის** სახელი-გვარი/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, უარსაყოფი ხელშეკრულების: დასახელება, თარიღი, ნომერი. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობის პროცესში გასათვალისწინებული დამატებითი პირობები:

3[1].1. უარის თქმის უფლება არ ვრცელდება: ისეთ კრედიტზე, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და ფინანსური გირავნობით, ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით ან/და მოძრავი ქონებით (გარდა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით უზრუნველყოფილი კრედიტებისა), მიუხედავად უზრუნველყოფაზე შეთანხმების თარიღისა, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის დაფიქსირების შემდგომ მოხდება შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენა ან/და გაფორმება, **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი ისარგებლოს უარის თქმის უფლებით.

3[1].2. იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულების** ფარგლებში გათვალისწინებულია **კრედიტის თანხის** ტრანშებად გაცემა, ყოველი ახალი ტრანშის გაცემა არ იწვევს უარის თქმის უფლების და ამ უფლების რეალიზებისთვის დადგენილი შესაბამისი ვადების განახლებას, შესაბამისად **კლიენტი** ვალდებულია აღნიშნული უფლებით სარგებლობის მიზნით უარი თქვას არა მხოლოდ ცალკეულ ტრანშზე, არამედ **ხელშეკრულებაზე** სრულად.

3[1].3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ კონკრეტულ კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმა ამავდროულად ავტომატურად არ გულისხმობს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაზე** (შეიძლება მოხსენიებულ იქნას ასევე როგორც - **გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება**) უარს. აქედან გამომდინარე, თუ კი იარსებებს რომელიმე **დაკავშირებული ხელშეკრულება** (მათ შორის შესაბამისი გირავნობის ხელშეკრულებები),

რომელიც უზრუნველყოფს **გენერალურ საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებას** ან/და არ უკავშირდება იმ კონკრეტულ გარიგებას, რომელზეც უარს აცხადებს **კლიენტი, ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ი** დატოვოს ძალაში.

3^1.4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **ბანკისათვის ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით უარის თქმის შესახებ მიმართვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ხელშეკრულებით** განსაზღვრული და მასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და გადასახდელების **ბანკისთვის** სრულად გადახდა: სანოტარო ხარჯები და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაწესებული გადახდილი/გადასახდელი თანხები, **პირგასამტეხლო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების (მათ შორის მიმდინარე შენატანის განხორციელების ვალდებულების) შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის, **კრედიტის** ძირითადი თანხა, **კრედიტის** სარგებლობის პერიოდში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დარიცხული და გადაუხდელი **პროცენტი/ახალი ბარათის/მასწავლებლის ახალი ბარათის შემთხვევაში - ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო. კრედიტის** სარგებლობის პერიოდად ითვლება **კრედიტის** დამტკიცების დღიდან, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ყველა გადასახადისა და გადასახდელის **ბანკისთვის** სრულად გადახდის დღის ჩათვლით პერიოდი. **კლიენტი** ასევე ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** გადაცემული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გაუგებრობის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ უარის თქმის უფლებამდე გადახდილი თანხა **კლიენტს** უკან არ უბრუნდება; ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები გამოანგარიშდება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დარიცხული **პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ან/და სხვა ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად. **კლიენტის** მიერ უარის თქმის უფლებით სარგებლობისთვის **ხელშეკრულებით** და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ყველა ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და **ხელშეკრულების** ამავე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესების შესაბამისად გაუქმების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე არ ექნება მიმდინარე ფულადი ვალდებულებები (მათ შორის სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები), **კლიენტს** დაუბრუნდება **ბანკისთვის** გადახდილი მხოლოდ ისეთი სახის საკომისიო თანხები, რომლის **კლიენტის** მიერ გადახდის ვალდებულებაც **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების რეალიზების შედეგად აღარ იარსებებს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3^1.5. **კლიენტისთვის** აგრეთვე ცნობილია და ეთანხმება, რომ მიუხედავად **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის თაობაზე **ბანკისთვის** წერილობითი უარის დაფიქსირებისა, უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის აუცილებელი ვალდებულებ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **კლიენტი** ვალდებული რჩება დათქმულ დროში, სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** გათავლისწინებული ვალდებულებები, მათ შორის **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად დროულად გადაიხადოს მიმდინარე შენატანი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მისთვის მინიჭებული უფლებებით, მათ შორის დაარიცხოს **კლიენტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პირგასამტეხლო** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შეუსრულობელობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის დადგენილი სანქციის, **საპროცენტო განაკვეთის**/**ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ასევე მიმდინარე შენატანის, ზიანის/ზარალის ან/და **ბანკისთვის** გადასახდელი სხვა თანხები ჩამოწეროს **კლიენტის** ანგარიშებიდან უაქცეპტოდ 30 დღიანი ვადის გასვლამდეც ნებისმიერ დროს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **ბანკის** სასარგებლოდ უქცეპტო ჩამოწერის უფლების არსებობა არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს **კლიენტს** შესაბამისი გადასახდელებისა და გადასახადების **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადახდის ვალდებულების შესრულებისგან.

3^1.6. უარის თაობაზე პირველი შეტყობინების **ბანკისათვის** ფილიალში მისვლით ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში, **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს სრულად დასაფარი თანხის **ბანკისთვის** გადახდა ერთჯერადი დაფარვისა და **ბანკისთვის** მიმართვის გზით. **კლიენტის** მიერ უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის გადასახდელი თანხის სრულად დაფარვამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ განხორციელებული ნაწილობრივი შესრულებები მიიჩნიოს **კრედიტის** თანხის წინსწრებით დაფარვად და იმოქმედოს წინსწრების შემთხვევებისთვის **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** შიდა-პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. თუ **კლიენტმა** ასეთი წინსწრების შემთხვევებისთვის წინასწარ არ განუსაზღვრა **ბანკს** ახალი გრაფიკის **კანონმდებლობით** განსაზღვრული ალტერნატივები, **ბანკი** უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ახალი გრაფიკის ფორმირების თაობაზე. ამასთან, რევოლვირებადი პროდუქტებით (მათ შორის ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი) სარგებლობისას, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** ხელშეკრულებაზე უარის

ბანკი/________________/ კლიენტი/________________/

დაფიქსირების შემდგომ 30 დღეში განახორციელებს ათვისებული თანხის მხოლოდ ნაწილის დაფარვას, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, არ მიიჩნიოს აღნიშნული წინსწრებად/ლიმიტის შემცირებად. მიუხედავად აღნიშნულისა, **ბანკი** აგრეთვე უფლებამოსილია ნაწილობრივი შესრულებით მოახდინოს ლიმიტის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ განხორციელებული შენატანები საკმარისი აღმოჩნდება მიმდინარე შენატანის სრულად დასაფარად, **კლიენტი** დამატებით მიმართავს **ბანკს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით იმის თაობაზე, რომ მას სურს ლიმიტის შემცირება და არა **ხელშეკრულებაზე** უარის თქმა და მიმდინარე შენატანების დაფარვის შემდგომ დარჩენილი ფულადი სახსრები **კლიენტის საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის** ანგარიშზე **ბანკისთვის** ხელმისაწვდომი იქნება უარის თქმის უფლების თაობაზე პირველივე შეტყობინების განხორციელებიდან 30-ე დღის ამოწურვის შემდგომაც იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ლიმიტის შემცირების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. ასევე, **საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის** შემთხვევაში ათვისებული თანხის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით შესრულებული გადახდები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მიმდინარე შენატანის დაფარვად თუ აღნიშნული გადახდები შესრულებული იქნება **ხელშეკრულებით** შენატანის გადახდისთვის დადგენილი წესის სრულად დაცვით.

3[1].7. **მხარეები** ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ გაცემული/ათვისებული თანხის და შესაბამისი გადასახდელების სრულად დასაფარად საკმარისი **კლიენტის** ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/და განთავსების შემთხვევაში, არ მოხდება **ბანკის** წინაშე ვალდებულების ავტომატურად დაფარვა და **კლიენტის** იცინიატივით **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის მიზნით ვალდებულების დაფარვა (მათ შორის, ნაწილობრივ გადახდის გზით) შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ყოველი ასეთი შესრულების/დაფარვის დროს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

3[1].8. თუ **კლიენტი** არ უზრუნველყოფს **ბანკისათვის** პირველი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, **კლიენტისთვის** ინფორმირების გარეშე: გააგრძელოს **ხელშეკრულება,** ასევე თანხის ნაწილობრივ ჩამოჭრის/დაფარვის შემთხვევაში, **ბანკის** გადაწყვეტილების შესაბამისად ასეთ თანხაზე იხელმძღვანელოს **კრედიტის** წინსწრებით დაფარვის პირობების შესაბამისად.

3[1].9. იმ შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლების რეალიზების პროცესში, ნებისმიერ დროს წარმოიშობა **კლიენტის** სხვა სახის დავალიანება (მათ შორის ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი) გარდა უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის შესასრულებელი ფულადი ვალდებულებებისა, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ განხორციელებული შესრულებებით (ან/და **კლიენტის** ანგარიშზე არსებული თანხის უაქცეპტო ჩამოწერის გზით) პირველ რიგში დაფაროს ასეთი სხვა სახის დავალიანება, ხოლო შემდგომ უარის თქმის უფლების რეალიზების მიზნით **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები. **კლიენტთა** სიმრავლისას, ერთ-ერთი **კლიენტის** მიერ უარის თქმა წარმოშობს ანალოგიურ შედეგებს დანარჩენ **კლიენტთა** მიმართაც, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოზიციისა, თუ **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. გადასახდელი თანხები გამოანგარიშდება **ხელშეკრულებიდან** და **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული გადასახდელებისა და გადასახადებიდან, და არა კონკრეტული **კლიენტის** პროპორციიდან გამომდინარე, მათ შორის, **ხელშეკრულებიდან** ათვისებული თანხის, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დაფარვის ვადების, **პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** შესაბამისად.

3[1].10. **კლიენტის** მიერ უარის თქმის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შეწყვეტილად ითვლება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უარის თქმასთან დაკავშირებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.

3[1].11. **ხელშეკრულებაზე** უარის თქმით შეწყვეტით შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს ისეთი ხელშეკრულების გაუქმება, რომელიც დაიდო **ბანკთან** ან/და **მესამე პირთან ბანკისა** და **მესამე პირს** შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და უკავშირდება **ხელშეკრულებას**. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, ამგვარად დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს **კლიენტს** ან/და **მესამე პირს**. **ბანკი** უფლებამოსილია ინფორმირების მიზნით, ნებისმიერი ინფორმაცია ანდა დოკუმენტაცია გადასცეს **კლიენტს** ანდა **მესამე პირს.** გაუგებრობის გამოსარიცხად, ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის დაკავშირებულ ხელშეკრულებად არ განიხილება უზრუნველყოფის ხელშეკრულებები. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **მესამე პირსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერ და ყველა მოთხოვნაზე/პრეტენზიაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარე (**კლიენტი** ან/და **მესამე პირი**) და არცერთ შემთხვევაში **ბანკი**, შესაბამისად აქედან გამომდინარე **მესამე პირის**, **კლიენტის,** მარეგულირებელი ორგანოს ან/და სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნები/პრეტენზიები უნდა წარედგინოს **კლიენტს** ან/და ასეთ **მესამე პირს** კონექსტის შესაბამისად.

4. **ხელშეკრულების სხვა პირობები:**

4.1. **კლიენტი** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს **ხელშეკრულების** ნებისმიერ **კლიენტს** (თუ რამდენიმე **კლიენტია**), ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) **ხელშეკრულება,** (ბ) **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) **გარემოებების** შესახებ ინფორმაცია, რაც

ბანკის შეხედულებით შეიძლება გახდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველი, (გ) **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის **ანგარიშიდან** მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს **ბანკს** დაამუშაოს **კონფიდენციალური ინფორმაცია** (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია **პირობებით.**

4.2. **მხარეთა** მიერ წინამდებარე **ტოპქარდის ბარათის** ხელშეკრულებაზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან/და სხვა არხების საშუალებით ან **კლიენტის** დასახელებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი სმს-ის მეშვეობით მიღებული ლინკის და მიღებული კოდის (ოტპ კოდი) (კოდი მიეწოდება **კლიენტს** ხსენებული სმს-ის მეშვეობით, **ტოპ ქარდის ხელშეკრულების** ლინკთან ერთად) **ბანკის** თანამშრომლის მიერ პროგრამაში შეყვანის ან/და ამავე პროგრამაში ავტომატურად ასახვის საფუძველზე), რასაც **მხარეები** ანიჭებენ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფას იურიდიული ძალას, დადებულად ითვლება და ძალაში შედის **ხელშეკრულება**, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) წინამდებარე **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება**; (გ) წინამდებარე **ხელშეკრულების** დანართი **საკრედიტო ბარათის პირობები** (შემდგომში - **პირობები**), რომელიც წარმოადგენს **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულების** დანართს და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე https://libertybank.ge/ka/agreements/sakredito-barati; (დ) **ბანკში** არსებული **ფიზიკური პირის მომსახურების პირობები;** და (ე) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება **მხარეთა** შორის **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტის** მოქმედების ფარგლებში.

5. **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულებაზე** თანხმობის გამოხატვით **კლიენტი** ადასტურებს, რომ (ა) ის (**კლიენტი**) სრულად გაცნობილია და ეთანხმება **ხელშეკრულების თავსართში**, **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულებაში** მოცემულ ინფორმაციას, (ბ) **ხელშეკრულ**ება ითვლება დადებულად და (გ) მისთვის მისაღებია **კრედიტის თანხა, პროცენტი**, მოქმედების ვადა, **პირგასამტეხლოს, საკომისიოს** მოცულობები და სხვა პირობები.

6. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად **კრედიტის** გაცემის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს **კლიენტის** მიერ **ბანკში ანგარიშის** ფლობა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკში** არ გააჩნია **ანგარიში, კრედიტის** გაცემა მოხდება მხოლოდ **ანგარიშის** გახსნის განაცხადზე **კლიენტის** მიერ ხელმოწერისა და შესაბამისი **ანგარიშის** გახსნის შემთხვევაში.

7. თუ თავად წინამდებარე **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება **პირობების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, მათ შორის და არამარტო ტერმინთა განმარტებები, **კლიენტის განცხადებები და გარანტიები**, **კრედიტის თანხით** სარგებლობის, **მხარეთა** პასუხისმგელობის, **მხარეთა** კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, წინამდებარე **ტოპ ქარდის ხელშეკრულების** პირობებსა და **პირობების** ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე **ტოპ ქარდის ხელშეკრულების** პირობებს.

8. წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე.**მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში **ხელშეკრულების** ქართულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარს უპირატესობა მიენიჭება **ხელშეკრულების** სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში. ამასთან, **კლიენტისთვის** სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე **კლიენტთან** კომუნიკაცია **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

9. წინამდებარე **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში.

10.წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად. **მხარეები** თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11.**ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

	ბანკი		კლიენტი
	----------		----------

ბანკი/_____/ კლიენტი/_____/